

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს განმსაზღვრელი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წელს იქნა მიღებული. ცვლილების შეტანის თაობაზე 2015 წლის კანონით კი, მარეგულირებელ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

არსებული ხარვეზების, ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი საჭიროებებისა და მოქმედი რეგულაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული დაბრკოლებების კვლევა მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სააგენტომ, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ბაზაზე შემუშავებული პროგრამის მეშვეობით, 2017 წელს განახორციელა რადიაციული დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული მარეგულირებელი რეჟიმის თვითშეფასება. შეფასების კრიტერიუმებად აესს-ის შესაბამისი რეკომენდაციები, პრინციპები, მოთხოვნები თუ სახელმძღვანელო წესები იქნა გამოყენებული. შედეგების პროცენტული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აესს-ის სტანდარტებთან საკითხების რეგულირების შესაბამისობის მაჩვენებელი 40 %-ია, ნაწილობრივ შეესაბამება 40 %, ხოლო დარჩენილ 20 %-ში სრულად შეუსაბამობა გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ მითითებული თვითშეფასება წარმოადგენდა მარეგულირებელი რეჟიმის შემსწავლელი ინტეგრირებული მისიის საქართველოს საკითხზე მუშაობისას ძირითად დოკუმენტს, რომელსაც სააგენტომ 2018 წელს უმასპინძლა. საერთაშორისო ექსპერტებმა ქვეყანას 26 რეკომენდაცია და 16 წინადადება მისცეს, რომელთა მიზანია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სხვადასხვა მიმართულებით. ვინაიდან რეკომენდაციებში მითითებულ საკითხთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს საკანონმდებლო აქტში ცვლილების განხორციელებას, კანონპროექტის მიღების მიზეზი მისიის და მამასადაძმე, აესს-ის რეკომენდაციებისა და წინადადებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის საჭიროებაცაა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მაიონებული გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვის ეფექტიანობას.

საქართველომ 2018 წლის მისიის შედეგების შემფასებელ მისიას კვლავ უნდა უმასპინძლოს 3-5-წლიან ვადაში, რომლის ფარგლებშიც შეფასდება აესს-ის მანდატით აღჭურვილი უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების სტატუსი. ამ უკანასკნელზე კი, ასევე, მათ შორის, დამოკიდებულია საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

იგივე ეხება ბირთვული დაცულობის მიმართულებასაც. აესს-ის სამდივნოსთან თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს მთავრობამ, 2015 წელს დაამტკიცა ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის ეროვნული გეგმა (INSSP), რომელიც, უმეტესწილად, საერთაშორისო ორგანიზაციასთან ამ სფეროში თანამშრომლობის, იგივე, მხარდაჭერის მიღების გზამკვლევაა, გამოკვეთილია რა, ეროვნული საჭიროებები და პრიორიტეტული მიმართულებები. 2018 წელს, მარეგულირებელმა ორგანომ INSSP-ის პროგრესის შემსწავლელ მისიასაც უმასპინძლა. შეფასდა განახლებული მდგომარეობა და დაიგეგმა შემდგომი პერიოდის INSSP-ის პრიორიტეტული მიმართულებები, რაც მოქმედ კანონმდებლობასაც შეეხება. საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარსადგენი გეგმის პროექტი განახლდა 2021 წლის უცხოელი ექსპერტის, ასევე, აესს-ის სამდივნოსა და აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლების ჩართულობით.

ამდენად, პრაქტიკული საქმიანობის შედეგად, ასევე, საერთაშორისო მისიების მიერ განსაზღვრული საკითხები საჭიროებს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ძირეული ცვლილებების განხორციელებას, ვინაიდან უკავშირდება როგორც რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის პრინციპებს, ისე მოწესრიგების სისტემაში არსებულ ინსტიტუციურ ხარვეზებს, როდესაც რეჟიმში არ არის ასახული რეგულირების ფუნდამენტური პრინციპები.

შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს როგორც მარეგულირებელ პრაქტიკაში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების გადაჭრას, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრას.

უფრო კონკრეტულად, პრობლემური და აესს-ის რეკომენდაციებთან შეუსაბამოა მოქმედი ავტორიზაციის/ლიცენზირების სისტემა. იგულისხმება მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ბირთვული და რადიაციული საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას დაკავშირებული რისკების მიუხედავად. მარეგულირებელი ორგანო ლიცენზიას გასცემს, როგორც პირველი, ისე მეხუთე კატეგორიის წყაროს გამოყენებით საქმიანობებზე მაშინ, როცა რადიაციული რისკი მკვეთრად განსხვავებულია.

მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ხასიათის რადიაციული რისკით განსაზღვრა დაკავშირებულია განსხვავებული მოთხოვნების დაწესებასთან, ე.წ. დიფერენცირებული მიდგომით - რაც უფრო ნაკლებია რისკი, რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფი მით უფრო ნაკლები მოთხოვნების შესრულება ევალუება ავტორიზაციის მფლობელსა თუ მამიებელს. ამავდროულად, მნიშვნელოვნად დაიზოგება მარეგულირებელი ორგანოს რესურსი, რაც შექმნის შესაძლებლობას, გაცილებით მეტი ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსი დაეთმოს მაღალი რადიაციული რისკით დახასიათებულ ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობებს, ანუ, იმ საქმიანობებს, რომლებსაც

მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფაზე.

ამავდროულად, როგორც კანონპროექტითა და მოქმედი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ბირთვული და რადიაციული ობიექტის ფუნქციონირება სრულდება ობიექტის დეკომისიით. დეკომისიის განხორციელების საბოლოო შედეგი ობიექტზე მარეგულირებელი კონტროლის რეჟიმის მოხსნაა. შესაბამისად, ღონისძიება მნიშვნელოვანია, ვინაიდან განსაზღვრავს ბირთვული და რადიაციული ობიექტის შემდგომ სტატუსს. მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობს პირის ვალდებულება, საქმიანობის დაწყებისას წარმოადგინოს დეკომისიის ღონისძიებების ხარჯების გაანგარიშება და მისი უზრუნველყოფის გარანტიები. ამგვარი მდგომარეობა კი ქმნის, ფინანსური რესურსების არარსებობის გამო, დეკომისიის განხორციელების შეუძლებლობის რისკს, რაც ტვირთად დაეკისრება სახელმწიფოს როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით.

აესს-ის მისიამ პრობლემურ საკითხად გამოკვეთა, ასევე, ის ფაქტი, რომ მარეგულირებელ ორგანოს არ აქვს სრული ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე ბირთვული და რადიაციული საქმიანობების თაობაზე. იგულისხმება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით ავტორიზაციის რეჟიმისაგან გამორიცხული სამინისტროები და მათ დაქვემდებარებაში არსებული უწყებები.

ასევე, ამჟამად, მარეგულირებელ ორგანოს არ აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, გამოსცეს არასავალდებულო ძალის მქონე რეგულაციები, იგივე, რეკომენდაციები, რაც, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი ფუნქციაა, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასთან, ინსპექტირებასთან თუ იძულებით ღონისძიებებთან ერთად. მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს საკუთარ სამიზნე ჯგუფთან (ავტორიზებული ან/და ავტორიზაციის მაძიებელი პირები) პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა, რაც მიიღწევა რეკომენდაციების, მათთან დაკავშირებით, მათ საქმიანობაში საუკეთესო გამოცდილებისა თუ საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის ამსახველი დოკუმენტაციის მიღების მექანიზმით.

მარეგულირებელი ორგანო იძულებითი ღონისძიებების განხორციელების კომპეტენციას იზიარებს საქართველოს საერთო სასამართლოებთან - ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაფიქსირებულ სამართალდარღვევაზე დაჯარიმების თაობაზე გადაწყვეტილებას. აღნიშნული უფლებამოსილების სრულად ფლობისა და საერთო სასამართლოების რესურსის გადატვირთვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოებაა ამგვარი მოწყობა.

რაც შეეხება რადიოაქტიური წყაროების ექსპორტსა და იმპორტს, საერთაშორისო მისია, კანონმდებლობის შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ პრობლემურია არსებული მოწყობა, რომლის მიხედვითაც, პირველი და მეორე კატეგორიის წყაროების ექსპორტი, ექსპორტიორი სახელმწიფოს წინასწარი შეტყობინების, ხოლო პირველი კატეგორიის წყაროების იმპორტის შემთხვევაში - იმპორტიორი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე ხორციელდება.

პრაქტიკაში განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის არსებულ ტერმინთა განმარტებები - გამოკვეთილია კანონით დარეგულირებელი საკითხები მაშინ, როცა ტერმინთა განმარტება არ ახლავს ამ მოთხოვნებს; ასევე, არსებული ცალკეული დეფინიცია შეუსაბამოა როგორც აესს-ის ლექსიკონთან, ისე ადგილობრივ საჭიროებებთან.

მთავარია, ასევე, ამჟამად მოქმედი კანონის სათაურიც - „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება“ რეგულირების ერთი კომპონენტია მაშინ, როცა კანონი როგორც დაცულობის, ისე რადიაციული დაცვის მარეგულირებელ დებულებებსაც შეიცავს.

გარდა ამისა, არსებობს საქართველოს მთავრობის მიერ დასარეგულირებელი მიმართულებები, მაგალითად: ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციებისას დაცვითი ღონისძიებების კრიტერიუმები, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განსახორციელებლად დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უკონტროლო (უპატრონო) რადიოაქტიური წყაროების მოძიებისა და მარეგულირებელი კონტროლის აღდგენის წესი და სხვა, რომელთა შემუშავების სამართლებრივი საფუძველი კანონით უნდა შეიქმნას.

ამასთან, კანონპროექტის შემუშავებისას, გათვალისწინებული იქნა შემდეგი სახელმწიფოების საკანონმდებლო გამოცდილება და რეგულირების მეთოდები: ჩეხეთი, არგენტინა, ლიეტუვა, ხორვატია, ბულგარეთი, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, კვიპროსი, პოლონეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, კანადა.

სახელმწიფოთა უმრავლესობა ევროკავშირის წევრია, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის შემუშავებისას, ინტერესის მთავარ საგანს წარმოადგენდა, აესს-ის ძირითადი პრინციპების, სტანდარტების, რეკომენდაციებისა თუ სახელმძღვანელო წესების ადგილობრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის გადაწყვეტები, შესწავლილი იქნა, ასევე, სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებაც. განსხვავებულია თითოეული მათგანის ე.წ. ბირთვული სტატუსიც - ზოგიერთ შესწავლილ სახელმწიფოში ფუნქციონირებს ატომური ელექტროსადგური ან/და კვლევითი რეაქტორები. ამ გარემოებებმა შედარებითი ანალიზის განხორციელება გახადა შესაძლებელი, რის შედეგადაც შეჯერდა ოპტიმალური საკანონმდებლო ფორმულირებები კანონპროექტის თითოეულ თავთან მიმართებით.

სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ავტორიზაციის სისტემის შემუშავებისას. როგორც აღინიშნა, კანონპროექტის ერთ-ერთი მიზანია, ავტორიზაციის მიმართ დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა, რაც გულისხმობს კონკრეტული ბირთვული და რადიაციული საქმიანობისათვის დამახასიათებელი რადიაციული რისკის გათვალისწინებით, შეტყობინებისა და რეგისტრაციის შემოღებას, არსებული ლიცენზიისა და ნებართვის მექანიზმების დამატებით. ამ მიმართულებით, გაზიარებული იქნა ლიეტუვის გამოცდილება, რაც აისახა კანონპროექტის იმ მუხლში, სადაც მოცემულია რეგისტრაციას დაქვემდებარებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ჩამონათვალი.

კანონპროექტში აისახა დებულებები, ასევე, რადიოაქტიური ნივთიერებების სხვადასხვა პროდუქტში დამატების სფეროს თაობაზე სხვა სახელმწიფოთა შეჯერებული გამოცდილების

გათვალისწინებით ისევე, როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციების ძირითადი მიმართულებები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღებით, ძალადაკარგულად გამოცხადდება „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამგვარი გადაწყვეტის აუცილებლობა განპირობებულია, ცვლილებების დიდი მასშტაბით, რაც ეხება როგორც შინაარსობრივ საკითხებს, ისე სტრუქტურას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მოსალოდნელი ზოგადი შედეგი მარეგულირებელი რეჟიმის გაუმჯობესებაა მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით, რაც აუცილებელია ადამიანისა და გარემოს დასაცავად მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

დიფერენცირებული მიდგომის შესამაბამისად, ბირთვული და რადიაციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ნაკლებ რადიაციულ რისკთან, დაექვემდებარება შემსუბუქებულ მარეგულირებელ სისტემას - განხორციელება მისი რეგისტრაცია, ლიცენზიის ნაცვლად, რაც გულისხმობს ნაკლები მარეგულირებელი მოთხოვნების დაწესებას საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის. ლიცენზირებას დაექვემდებარებულ საქმიანობაზე ვრცელდება პროპორციულად ადეკვატური მოთხოვნები, როგორც წარსადგენი დოკუმენტაციის და განსახორციელებელი ღონისძიებების, ისე მარეგულირებელი ორგანოს კონტროლის სიხშირისა და ხასიათის კუთხით.

მოსალოდნელი შედეგია, ასევე, დეკომისიის განხორციელების უზრუნველყოფა შესაბამისი ფინანსური გარანტიებით. ამგვარი მექანიზმი სახელმწიფოს თავიდან აარიდებს ხარჯებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირი ვერ უზრუნველყოფს დეკომისიას. გარდა ფინანსური კომპონენტისა, წარმოდგენილი კანონპროექტის დეკომისიის თავში არსებული მოთხოვნები ხარისხობრივად მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადამიანისა და გარემოს დაცვას.

კანონპროექტით ნათლადაა გაწერილი რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში სახელმწიფო უწყებების ზოგადი კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობასა და ქმედით ფუნქციონირებას. აღსანიშნავია, რომ არ იცვლება უწყებათა უფლებამოსილებები - კანონპროექტის შესაბამის თავში თავმოყრილია სხვადასხვა თემატური მიმართულების მარეგულირებელ რელევანტურ კანონმდებლობაში მითითებული კომპეტენციები.

კანონპროექტის შედეგს წარმოადგენს, ასევე, მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის გაზრდილი ეფექტიანობა საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად. აღნიშნულს უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფუნქციური დახვეწა, არამედ ფინანსური და ადამიანური რესურსებით მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის ხელშეწყობის თაობაზე დებულებები.

განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის მოქნილი მექანიზმი და სფეროს მარეგულირებელი ყველა იმ საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები,

რომელთა მხარეც საქართველოა. ამდენად, კანონპროექტით ხდება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაცია.

კანონპროექტის მიღებით, ასევე, ხდება საერთაშორისო მისიების მიერ ქვეყნისთვის გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულება, რაც გულისხმობს აესს-ის პრინციპებთან, მოთხოვნებთან, რეკომენდაციებთან და სახელმძღვანელო წესებთან ეროვნული მარეგულირებელი რეჟიმის შესაბამისობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 13 თავისგან: თავი I - ზოგადი დებულებები, თავი II - ეროვნული მარეგულირებელი სისტემა, თავი III - ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირება, თავი IV - რადიაციული დაცვა, თავი V - რადიოაქტიური წყაროები, თავი VI - დეკომისია, თავი VII - ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნა და რეაგირება, თავი VIII - რადიოაქტიური მასალის ტრანსპორტირება, თავი IX - ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიები, თავი X - რადიოაქტიური ნარჩენები, თავი XI - ექსპორტისა და იმპორტის კონტროლი, თავი XII - ბირთვული დაცულობა, ფიზიკური დაცვა და არალეგალური მიმოქცევა, თავი XIII - უწყებრივი რეესტრი და თავი XIV - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.

კანონპროექტის რეგულირების სფეროს წარმოადგენს მაიონებელ გამოსხივებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი და ეხება ნებისმიერ ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობას, გარდა სამხედრო მიზნით მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენებისა. მასასადამე, კანონპროექტის რეგულირების მიღმა არამაიონებელი გამოსხივება.

მაიონებელ გამოსხივებასთან დაკავშირებული საქმიანობების მიმართ ეროვნული მარეგულირებელი რეჟიმის ჩამოყალიბება წინამდებარე კანონპროექტში ასახული დებულებების შესაბამისად, ემსახურება ორ ძირითად მიზანს:

- ა) ადამიანისა და გარემოს დაცვას მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან, როგორც ახლა, ისე მომავალში;*
- ბ) მაიონებელი გამოსხივების წყაროების ბირთვული უსაფრთხოებასა და დაცულობას.*

ბირთვული უსაფრთხოება განმარტებულია ამავე კანონპროექტში, როგორც ოპერირების სათანადო პირობები, ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ამგვარი სიტუაციების შედეგების მიტიგაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რის შედეგადაც ხდება პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს არასათანადო რადიაციული რისკისაგან დაცვა.

ხოლო ბირთვული დაცულობა - ბირთვულ მასალასთან, სხვა რადიოაქტიური მასალასთან, ასოცირებულ ობიექტებთან ან საქმიანობებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ან განზრახ უკანონო ქმედებების პრევენცია, დეტექტირება და ამგვარ ქმედებებზე რეაგირება.

კანონპროექტით ჩამოყალიბებული რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სახელმწიფო პოლიტიკით, იკრძალება:

1. ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ფეთქებადი მოწყობილობის შექმნასა და მოპოვებას, ასევე ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის არამშვიდობიანი მიზნით გამოყენებას.
2. საკვებ პროდუქტებში, სათამაშოებში, სამკაულებში, კოსმეტიკურ საშუალებებსა და სამომხმარებლო პროდუქტებში რადიოაქტიური ნივთიერებების განზრახ დამატება ისევე, როგორც ამგვარი საგნების იმპორტი და ექსპორტი.
3. რადიონუკლიდებით დაბინძურებული საცხოვრებელი ან სამუშაო სივრცის გამოყენება, თუ დაბინძურების დონე აღემატება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ დაბინძურების დასაშვებ დონეებს.
4. იმ სამომხმარებლო პროდუქტების იმპორტი, ექსპორტი ან ბაზარზე განთავსება, რომლებიც დაბინძურებულია რადიონუკლიდებით და დაბინძურებულის დონე აღემატება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ დაბინძურების დასაშვებ დონეებს.
5. რადიოაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, საქართველოს ფარგლების გარეთ წარმოქმნილი რადიოაქტიური ნარჩენების იმპორტი და რადიოაქტიური ნარჩენების ნებისმიერი მიზნით რეექსპორტი.

კანონპროექტის პირველ თავში მოცემულია, ასევე, ძირითადი განმარტებები, რომლებიც, ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება აეს-ის ტერმინთა განმარტებებს (უსაფრთხოების ლექსიკონს).

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის ეროვნული პოლიტიკის/მარეგულირებელი რეჟიმის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე, ძირითადი პრინციპები. აქედან გამომდინარე, კანონპროექტის მე-4 და მე-5 მუხლებში მოცემულია ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის პრინციპები, ასევე, აეს-ის რელევანტური პუბლიკაციების შესაბამისად.

კერძოდ, ბირთვული უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ეფექტიანი რეგულირების პრინციპი, რაც გულისხმობს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირებას ეფექტიანად დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და აეს-ის სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული კანონმდებლობის დაცვით. შესაბამისად, მარეგულირებელი რეჟიმის ჩამოყალიბებას ემსახურება კანონპროექტის მეორე თავი.

განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში და განმტკიცებულია მოქმედი რეჟიმი მარეგულირებელ ორგანოსთან დაკავშირებით სააგენტო წარმოადგენს მარეგულირებელ ორგანოს.

მარეგულირებელი ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციები ფარავს ყველა იმ მიმართულებას, რაც აეს-ის რეკომენდაციების მიხედვით, აუცილებელია, ეფექტიანი რეგულირების პრინციპის იმპლემენტაციისათვის. სააგენტო:

- ახორციელებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციას;
- იღებს შეტყობინებას ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;
- ახორციელებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმართავს იძულებით ღონისძიებებს;
- შეიმუშავებს კანონმდებლობას და არასავალდებულო ძალის მქონე სახელმძღვანელო წესებს რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში;
- რეაგირებს ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე; და ა.შ.

სააგენტოს ამჟამად მოქმედ კომპეტენციას დაემატა გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგი, ასევე, უსაფრთხოებისა და დაცულობის კულტურის ხელშეწყობა ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სფეროში იძულებითი ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება საქართველოს საერთო სასამართლოების ჩართულობის გარეშე, რომლებიც საქმეს მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში განიხილავენ.

ამავდროულად, მარეგულირებელი ორგანოს ვალდებულებად განისაზღვრა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებთან დაკავშირებით; ასევე, მოსახლეობისა და იმ პირების ცნობიერების ამაღლება, რომლებსაც, თავიანთი საქმიანობისას, აქვთ შეხება მაიონებელ გამოსხივების წყაროებთან.

აეს-ის პრინციპებისა და მისი რეკომენდაციების შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაძლიერდება სააგენტოს მარეგულირებელი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობები. აღნიშნულის პრეზუმფციების საშუალებას, ასევე, იძლევა კანონპროექტის მე-13 მუხლში მოცემული დებულებები სააგენტოს ადამიანური და ფინანსური რესურსებით ადექვატურად უზრუნველყოფის გარანტიების თაობაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს, მარეგულირებელი ორგანოს, მომავალში, სავარაუდოდ, წარმოშობილი საჭიროებების გათვალისწინებას შემდეგი წლების სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებსა და ეროვნულ კანონმდებობას შეესაბამება კანონპროექტის მე-15 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლება:

- „ა) მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელ სივრცეში რადიოლოგიური მდგომარეობის, მათ შორის, ბირთვული ან

რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) იცხოვრონ და იმუშაონ რადიაციულად უსაფრთხო გარემოში;

გ) მონაწილეობა მიიღონ წინამდებარე კანონით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში;

დ) მიმართონ სასამართლოს საკუთარ უფლებათა დასაცავად წინამდებარე კანონით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

კანონპროექტის მესამე თავი ეთმობა სააგენტოს სამი მთავარი მარეგულირებელი ფუნქციის (ავტორიზაცია, ინსპექტირება, იძულებითი ღონისძიებები) სისტემის განმსაზღვრელ დებულებებს. ავტორიზაციას, იგივე, რეგისტრაციას, ლიცენზიასა და ნებართვას დაქვემდებარებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ჩამონათვალისა და ადმინისტრაციული წარმოების წესების აღწერის გარდა, ამ თავში მოცემულია ავტორიზებულ პირთა ზოგადი უფლება-მოვალეობები, რომლებიც შემდეგში დაკონკრეტებულია კანონპროექტის მომდევნო თავებში ან/და მოქმედი კანონმდებლობით.

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელებისა და იძულებითი ღონისძიებების მიღების უფლებამოსილების განმსაზღვრელ დებულებებს ეთმობა 31-ე-35-ე მუხლები.

კანონპროექტის მე-4 და მე-5 თავებში აღწერილია კონკრეტული მოთხოვნები, ერთი მხრივ, რადიაციული დაცვის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, რადიოაქტიურ წყაროებთან მოპყრობისას. დაკავშირებული რისკებისა და გამოყენების/მიმართვის სიხშირის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად და რეგულირებული დასხივების ერთ-ერთი კონკრეტული სახე - სამედიცინო დასხივება. ამგვარი რეგულირება განპირობებულია, აგრეთვე, იმითაც, რომ, პაციენტის სპეციფიკური საჭიროების გამო, სამედიცინო დასხივებისას არ მოქმედებს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი - დოზური ზღვრების პრინციპი. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რადიაციული დაცვის სხვა პრინციპებისა და მოთხოვნების შესრულებას, მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანის დასაცავად. აღნიშნულის საპასუხოდ, კანონპროექტით, ასევე, განსაზღვრულია ზოგადი დებულება პაციენტის დაცვასთან დაკავშირებით - „სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელმა ავტორიზებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთმა პაციენტმა არ მიიღოს დიაგნოსტიკური ან თერაპიული დასხივება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დანიშნულების გარეშე, რომლის უპირველესი ფუნქცია და ვალდებულებაა სამედიცინო დასხივების დანიშნვისას და მიმდინარეობისას პაციენტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.“

რაც შეეხება რადიოაქტიური წყაროების რეგულირებას, იმპორტისა და ექსპორტის საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკონტროლო (უპატრონო) რადიოაქტიური წყაროების მართვისა და მათზე კონტროლის აღდგენის რეჟიმს. აღსანიშნავია, რომ, მაშინ, როცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელს ეკისრება

უპირველესი პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ბირთვული უსაფრთხოება და დაცულობა, ეს უკანასკნელი, უკონტროლო (უპატრონო) წყაროების შემთხვევაში, მარეგულირებელი ორგანოს ვალდებულებადაა განსაზღვრული.

კანონპროექტით განსაზღვრული ნებისმიერი ბირთვული და რადიაციული საქმიანობა სრულდება ობიექტის დეკომისიით, გარდა შემდეგი ობიექტებისა:

- ა) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი, რომელიც ექვემდებარება დახურვას შემდგომი კონტროლის დაწესების პირობით;
- ბ) ობიექტები, რომლის ყველა დანადაგარის, მოწყობილობისა და კონსტრუქციის დაშლა არ გამოიწვევს რადიოაქტიური ნარჩენების წარმოქმნას;
- გ) ბუნებრივი რადიოაქტიური ნივთიერებების ინჟინრულად გამართული შესანახი.

ამგვარი რეჟიმის გათვალისწინებით, კანონპროექტის მე-6 თავში ჩამოთვლილია ავტორიზაციის მაძიებლის და შემდეგში ავტორიზებული პირის ვალდებულებები დეკომისიის გეგმის, საბაზისო კვლევების, ფინანსური უზრუნველყოფის, მუდმივი განახლებისა თუ მარეგულირებელი ორგანოსათვის წარსადგენილი დოკუმენტაციის თაობაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დეკომისიის მიზნებისთვის განხორციელებული ქმედებების დასრულებისას, ამოწმებს ბირთვული და რადიაციული ობიექტის საბოლოო მდგომარეობას, რათა დარწმუნდეს, რომ მარეგულირებელი მოთხოვნები შესრულდა.

რაც შეეხება ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნასა და რეაგირებას, კანონპროექტით განსაზღვრულია ძირითადი მოთხოვნები ეროვნული გეგმის შემუშავების, ასევე, ავტორიზებულ პირთა ვალდებულებების თაობაზე. ხოლო ტრანსსასაზღვრო საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, ანუ, როდესაც განვითარებული ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციის შედეგად, არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ რადიოაქტიური კონტამინაციის გავრცელების რისკი, მარეგულირებელმა ორგანომ, ოფიციალური არხების მეშვეობით, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს და სხვა იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეხებათ ან შეიძლება შეეხოს რადიოლოგიურად მნიშვნელოვანი დაბინძურება „ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ“ კონვენციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო თანამშრომლობას, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპულ შეთანხმებას და მაშასადამე, აესს-ის რეგულაციებს ეფუძნება კანონპროექტის რადიოაქტიური მასალის ტრანსპორტირების თავი.

ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიების თავში მოცემული მოთხოვნები კი, შემუშავებულია „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმებისა და ამ შეთანხმების დამატებითი ოქმის შესაბამისად. მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მიერ მიღებული გარანტიების იმპლემენტაცია ბირთვული იარაღის,

ბირთვული მასალებისა და ატომური იარაღის წარმოებისთვის აღჭურვილობის გაუზრცელებლობის შესახებ. კანონპროექტი ქმნის საქართველოში აესს-ის ინსპექტორების საქმიანობის განხორციელების, ასევე, ინსპექტირების ადგილზე მათი შეუფერხებელი დაშვების ხელშეწყობის სამართლებრივ საფუძველს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია შეთანხმებისა და დამატებითი ოქმის მოთხოვნათა შესასრულებლად.

როგორც ცნობილია, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილია ნარჩენების მართვის ძირითადი პრინციპები, არსებული მარეგულირებელი ჩარჩო და სხვადასხვა უწყების კომპეტენცია. აქედან გამომდინარე, კანონპროექტით რეგულირდება, რადიოაქტიური ნარჩენების მართვისას, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის ძირითადი მოთხოვნები, ავტორიზაციისა და ავტორიზებულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხები, ასევე, მოთხოვნები რადიოაქტიური ნარჩენების ექსპორტის, ტრანზიტისა და იმპორტის მიმართ.

კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ექსპორტ-იმპორტის ავტორიზაციის საკითხები რეგულირდება მე-11 თავში, ხოლო კანონპროექტის მე-12 თავში მოცემულია ბირთვული დაცულობის, ფიზიკური დაცვისა და არალეგალური მიმოქცევის მარეგულირებელი ჩარჩო. მოცემული დებულებები მნიშვნელოვანია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაციისათვის, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი ფუნქციაა მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის, შეტყობინების უწყებრივი რეესტრის შექმნა და წარმოება, რის უზრუნველყოფი დებულებებიცაა განსაზღვრული კანონპროექტის მე-13 თავში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №640 დამტკიცებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017 – 2031 წლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში საკანონმდებლო მოთხოვნების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებს „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონი, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებელ თავს რადიოაქტიური ნარჩენების, ასევე, დეკომისიის თაობაზე, ვინაიდან, რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის ინტეგრირებული რეჟიმი ვრცელდება ზემოხსენებულ მიმართულებებზეც. მათი რეგულირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუცილებელია, უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დასაცავად. ამდენად, კანონპროექტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სტრატეგიით დასახული მიზნის მიღწევის საშუალებას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის დებულებები შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების, პრინციპებისა და საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, განახლებული და გაუმჯობესებული რეგულაციები ამოქმედდეს დროულად, რაც დადებითად აისახება ადამიანისა და გარემოს მდგომარეობაზე, მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ეფექტიანი დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული პრიორიტეტის გათვალისწინებით, გონივრულია, რომ კანონპროექტი, ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს, გარდა კანონპროექტის მე-3 თავით გათვალისწინებული (ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირება) დებულებებისა. ეს უკანასკნელი, ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან. ლიცენზიის მფლობელ იმ პირებს, რომელთა საქმიანობაც განახლებული რეჟიმით რეგისტრირებას დაექვემდებარება, მიეცემათ ვადა 2026 წლის 1 მაისამდე, რომ საქმიანობა შეუსაბამონ განახლებულ კანონმდებლობას და მიმართონ მარეგულირებელ ორგანოს რეგისტრაციის მისაღებად - ნაცვლად ლიცენზიისა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოებისა და საქართველოს საერთო სასამართლოების არსებული ასიგნებების ფარგლებში.

მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობა, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა შესაძლოა დაფინანსდეს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესამუშავებლად საჭირო გახდება ექსპერტ(ებ)ის ჩართულობა, შესაბამისი ხარჯები დაიფარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რაც შეეხება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებს, კანონპროექტის მიხედვით, ამჟამად ლიცენზირებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ნაწილი 2026 წლის 1 იანვრიდან უნდა დაექვემდებაროს რეგისტრაციას. შესაბამისად, სარეგისტრაციო მომსახურების საფასური იქნება მარეგულირებელი ორგანოს ნებადართული შემოსავალი და ჩაირიცხება მის ბიუჯეტში. მომსახურების საფასურის ოდენობის განსაზღვრა იგეგმება კანონპროექტის გარდამავალ დებულებაში მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. რელევანტური გათვლებით, ივარაუდება, რომ აღნიშნული მომსახურების შედეგად სააგენტოს საკუთარი შემოსავალი დაახლოებით 10 000 ლარი იქნება, საიდანაც ბიუჯეტში გადაიხდება დღგ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცენტის შესაბამისი ოდენობა.

დღეისათვის სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული მომსახურების სახეები და საფასურის ოდენობები განსაზღვრულია „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №319 დადგენილებით. ამჟამად, ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებებიდან სააგენტოს საშუალო წლიური საკუთარი შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 50 000 ლარს.

№	მომსახურების სახეები	საზომი ერთეული	საფასურის ოდენობა
1.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დოზიმეტრიული გაზომვა	0 – 500 მ ² 500-დან – 1000 მ ² -მდე 1000 მ ² -ის ზევით ყოველ დამატებით 500 მ ² -ზე	400 ლარი 600 ლარი +200 ლარი
2.	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დოზიმეტრიული გაზომვა	0 – 1 ჰა 1 ჰა-დან ზევით ყოველ დამატებით 1 ჰა მ ² -ზე	400 ლარი +200 ლარი
3.	სამომხმარებლო პროდუქციის გამოსხივების დოზის სიმძლავრის გაზომვა	ერთჯერადი გაზომვა	15 ლარი

4.	სამშენებლო მასალისა და სამშენებლო ნარჩენის გამოსხივების დოზის სიმძლავრის გაზომვა	ყოველი 100 მ ²	100 ლარი
5.	შენობის დოზიმეტრიული გაზომვა	0 – 50 მ ² 50-დან – 100 მ ² -მდე 100 მ ² -ის ზევით ყოველ დამატებით 100 მ ² -ზე	100 ლარი 150 ლარი +50 ლარი
6.	ჯართის გამოსხივების დოზის სიმძლავრის გაზომვა	0-20 ტონის ჩათვლით ყოველი დამატებითი ერთი ტონა	150 ლარი +5 ლარი
7.	სატრანსპორტო საშუალების დოზიმეტრიული გაზომვა	ერთი ერთეული	50 ლარი
8.	დახურული რადიოაქტიური წყაროს ან რადიოაქტიური ნარჩენის შენახვა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში	ერთი წელი სამ წელზე მეტი ვადით	300 ლარი 1000 ლარი
9.	რადიოაქტიური წყაროს ჯართიდან გამოცალკევება და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსება	ჯართიდან რადიოაქტიური წყაროს გამოცალკევება და შენახვა	500 ლარი
10.	მაიონებელი გამოსხივების მილაკის შენახვა	1 ცალი	100 ლარი
11.	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების ერთი ერთეული ვაგონის დოზიმეტრიული გაზომვების ჩატარება	ერთჯერადი გაზომვა	500 ლარი
12.	ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების შესახებ დოკუმენტაციის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება	1 ერთეული მაიონებელი გამოსხივების წყარო	200 ლარი

სააგენტოს მიერ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციის მიზნით, დაჩქარებული წესით გაწეული მომსახურებისათვის დაწესებულია შემდეგი საფასურის ოდენობები:

- მაიონებელი გამოსხივების გენერატორების გამოყენებით ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება - 20 კალენდარული დღის ვადაში - 100 ლარი, 10 კალენდარული დღის ვადაში - 300 ლარი, 3 კალენდარული დღის ვადაში - 500 ლარი;
- სალიცენზიო პირობებში შესატანი ცვლილების შეთანხმება - 20 კალენდარული დღის ვადაში - 50 ლარი, 10 კალენდარული დღის ვადაში - 100 ლარი, 3 კალენდარული დღის ვადაში - 150 ლარი;
- რადიოაქტიურ წყაროებთან დაკავშირებული საქმიანობის სალიცენზიო პირობებში შესატანი ცვლილების შეთანხმება, რომელიც არ მოითხოვს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის გაფართოების მიზნით - 20 კალენდარული დღის ვადაში - 100 ლარი, 10 კალენდარული დღის ვადაში - 200 ლარი, 3 კალენდარული დღის ვადაში - 300 ლარი;
- ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება - 10 კალენდარული დღის ვადაში - 100 ლარი, 3 კალენდარული დღის ვადაში - 200 ლარი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციის სისტემაში დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა (რეგისტრაცია, ლიცენზია, ნებართვა), ასევე, შეტყობინების მექანიზმის შემოღება ისევე, როგორც ობიექტის დეკომისიის ფინანსური გარანტიების გათვალისწინება, მარეგულირებელი ორგანოსთვის რეკომენდაციების მიღებისა და იძულებითი ღონისძიებების გაფართოებული უფლებამოსილების მინიჭება, ექსპორტ-იმპორტის მარეგულირებელი დებულებების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, რომლებსაც კანონპროექტი ითვალისწინებს, არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები დაფინანსდება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების ასიგნებებიდან.

რაც შეეხება საქართველოს საერთო სასამართლოების ასიგნებებს, დაიზოგება ის ნაწილი, რომლებიც მოითხოვება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59² მუხლით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვისას. გამონაკლისია, ასევე, ამავე შინაარსის ცვლილებით განპირობებული სამივლინებო ხარჯების დანაზოგი სააგენტოში, რომელიც, ყოველწლიურად, შეადგენს, დაახლოებით, 3 000 ლარს.

აღსანიშნავია, რომ არსებული კანონის გაუქმება და ახალი კანონის მიღება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს გაფართოებული უფლებამოსილება სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის, მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებთან დაკავშირებით; ასევე, მოსახლეობისა და იმ პირების ცნობიერების ამაღლება, რომლებსაც, თავიანთი საქმიანობისას, აქვთ შეხება მაიონებელ გამოსხივების წყაროებთან და ა.შ.) არ იწვევს სააგენტოს რეორგანიზაციას ან/და სტრუქტურულ და სხვა დაკავშირებულ ცვლილებებს, მათ შორის, არ ზრდის სააგენტოს ხარჯებს.

იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესამუშავებლად საჭირო გახდება ექსპერტ(ებ)ის ჩართულობა, შესაბამისი ხარჯები დაიფარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს, გარდა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციის განმსაზღვრელი დებულებებისა. ხოლო ეს დებულებები კი ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტით არ წესდება რაიმე სახის დამატებითი ფინანსური ვალდებულება სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყებებისათვის. აქედან გამომდინარე, ფინანსური ვალდებულებების ნაწილზე გავლენა პროექტს არ აქვს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიხედვით, ამჟამად ლიცენზირებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ნაწილი 2026 წლის 1 იანვრიდან უნდა დაექვემდებაროს რეგისტრაციას. შესაბამისად, პირებს, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება და დაექვემდებარებიან რეგისტრაციას, მოუწევთ სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდა. ამ მომსახურების საფასურის ოდენობის განსაზღვრა იგეგმება კანონპროექტის გარდამავალ დებულებაში მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

კანონპროექტით 2022 წლის 1 აპრილიდან დგინდება დეკომისიის ფინანსური გარანტიების შექმნის ვალდებულება, რომელიც ვრცელდება გარკვეული კატეგორიის ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე. იგეგმება დეკომისიასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, ფინანსური გარანტიების ნაწილის დამატებით რეგულირება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დონეზე. ვალდებულების შესასრულებლად საჭირო ხარჯები დამოკიდებული იქნება თავად ობიექტის მახასიათებლებზე, მათ შორის, დაკავშირებულ რადიაციულ რისკზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ითვალისწინებს დებულებებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგისტრაციის გადასახადის თაობაზე, თუმცა გადასახადის ოდენობა უნდა დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით. შესაბამისად, ოდენობის განსაზღვრის პრინციპი და სხვა რეგულაციები მოცემული იქნება დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტით ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სპეციფიკური ზეგავლენა არ იკვეთება. თუმცა, კანონპროექტის და შესაბამისად, მასში ასახული დებულებების/პრინციპების ძირითადი მიზანი ადამიანისა და გარემოს დაცვაა მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან, რაც დადებითად აისახება, მათ შორის, ბავშვის უფლებაზე, იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. კანონპროექტი შემუშავდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (აესს-ის) შემფასებელი მისიის რეკომენდაციების შესაბამისად და მათ შესასრულებლად. გარდა ამისა, კანონპროექტი, ძირითადად, ეფუძნება აესს-ის პუბლიკაციას - რეკომენდებულ სტრუქტურასა და შინაარსს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს:

- კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ;
- დამატება ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციაზე;
- საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე;
- დამატებითი ოქმი საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე;

- გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ;
- ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება;
- კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ;
- კონვენცია ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.